

დანართი N -3-

თბილისი და რეგიონები

აბონენტი _____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება – „დარეგისტრირდი ინტერნეტ ან ორმაგ შეთავაზებაზე და მიიღე პირველი და მეოთხე თვის მომსახურება სააბონენტო გადასახდელის გარეშე“

აქციის პირობები:

- წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), თბილისსა და რეგიონებში, აბონენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ორმაგ შეთავაზებაზე ან ინტერნეტ მომსახურებაზე, მიიღებენ პირველ (მომსახურების ჩართვიდან 30 კალენდარული დღე) და მეოთხე თვის (90-დან 120 კალენდარული დღის პერიოდი) მომსახურებას სააბონენტო გადასახდელის გარეშე.
- აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ პირებზე / აბონენტებზე:
 - პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე;
 - პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ცალკე მდგომ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებაზე;
 - პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებასა და სილქფონზე ერთდროულად;
 - პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ოპტიკურ ინტერნეტ , სილქ ტვ მომსახურებასა და სილქფონზე ერთდროულად;
 - სილქფონით მოსარგებლე აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას, ან ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას ერთდროულად.
- აქციის პირობებით **რეგისტრაციის** პერიოდი განისაზღვრება: **2020 წლის 8 აპრილიდან 3 აგვისტოს ჩათვლით;**
- აქციის პირობით რეგისტრირებული მომსახურების **ინსტალაციის** პერიოდი: **2021 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით;**
- აქციის **მოქმედების** პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვის დღიდან **4 თვის (120 კალენდარული დღის) ვადით;**
- აქციის ფარგლებში, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების ჩართვიდან (ინსტალაციიდან) პირველი 30 კალენდარული დღის (1 თვე) და 90 -ე კალენდარული დღიდან -120 კალენდარული დღის ჩათვლით (მეოთხე თვე) პერიოდში მიიღებენ ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურებებს სააბონენტო გადასახდელის გარეშე (აღნიშნულ პერიოდში არ მოხდება სააბონენტო გადასახდელის დარიცხვა);
- აქციის გაშვების დღიდან, მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე რეგისტრაციისას ავტომატურად გავრცელდება მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობები.
- აქციის მოქმედების პერიოდში (ქციის აქტომატურად გააქტიურების შემდეგ) აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ უარი განაცხადონ აქციის პირობებით სარგებლობაზე.
- 2.2. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, რომლებიც მომსახურებაზე რეგისტრაციისას ასევე რეგისტრირდებიან "რეგიონების აქციაზე" ისარგებლებენ შემდეგი პირობებით:
 - ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელზე გავრცელდება "რეგიონების აქციის" ტარიფი ("სტარტ +" 25 ლარად) ამავე აქციის მოქმედების ვადის ამოწურვამდე;
 - ხოლო ინტერნეტ მომსახურების ჩართვიდან პირველ და მეოთხე თვეზე გავრცელდება მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობა.
- აქციის მოქმედების პერიოდში იზღუდება მომსახურებ(ებ)ის (როგორც ინტერნეტის და ტელევიზიის ერთდროულად, ასევე ცალ-ცალკე) დროებით შეჩერება. დროებით შეჩერების სერვისით სარგებლობისათვის უნდა მოხდეს აქციის გაუქმება და შემდგომ დროებით შეჩერების სერვისის აქტივაცია.
- იმ შემთხვევაში, თუ აქციის აქტივაციიდან 120 კალენდარული დღის განმავლობაში, აბონენტს უწყვეტად არ მიეწოდება მომსახურებ(ებ)ი და აღნიშნულ პერიოდში მოხდება მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვა (დავალიანების

გადაუხდელობის გამო), შეწყდება აქციის პირობები.

12. იმ შემთხვევაში, თუ აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტი აუქმებს ორმაგ შეთავაზებაში შემავალ ერთ-ერთ მომსახურებას, შეწყდება მე-6 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობა.

13. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული მომსახურებ(ებ)ის აბონენტებისთვის შეზღუდულია ძირითადი პაკეტ(ებ)ის ცვლილების შესაძლებლობა შემდეგ პერიოდებში:

13.1. აქციის აქტივაციიდან - 30 კალენდარული დღის განმავლობაში;

13.2. აქციის აქტივაციიდან მე-60 დღიდან 120 კალენდარული დღის ჩათვლით პერიოდში.

ჩამოთვლილ შემთხვევებში, სააბონენტო პაკეტის ცვლილებისთვის, უნდა მოხდეს აქციის პირობების გაუქმება და შემდეგ პაკეტის ცვლილება.

14. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული მომსახურებ(ებ)ის აბონენტებისთვის შეზღუდულია მომსახურების პორტალის (mysilknet.com) საშუალებით სააბონენტო პაკეტის ცვლილებს შესაძლებლობა. აღნიშნულისთვის აბონენტმა უნდა მიმართოს ცხელი ხაზს.

15. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული მომსახურებ(ებ)ის აბონენტებისთვის შეზღუდულია სილქ ტვ-ის მენიუს (upsell ფუნქცია) საშუალებით სააბონენტო პაკეტის ცვლილებს შესაძლებლობა. აღნიშნულისთვის აბონენტმა უნდა მიმართოს ცხელ ხაზს.

16. აქციის პირობები არ გავრცელდება თემატურ პაკეტებზე.

17. აქციის პირობები არ გავრცელდება დამატებით სატელევიზიო მომსახურებაზე (დამატებით ტვ წერტილზე).

18. აქციაში ჩართულ აბონენტებს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია ახალ მისამართზე არ გადაყვებათ.

19. მისამართის ცვლილებაზე/რეინსტალაციაზე/ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას არ გავრცელდება აქციის პირობები.

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____